საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

MIA 8 21 00317216

10/02/2021

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის
სამსახურის უფროსის მოადგილეს (სანებართვო საკითხებში)
ქალბატონ **თეონა ახალაშვილს**

ქალბატონო თეონა,

თქვენი 2021 წლის 9 თებერვლის N 60-01210402604 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ განხილული იქნა ქალაქ თბილისში, ცოტნე დადიანის ქუჩა N100-ში (ლეჩხუმის ქუჩა N16) არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.12.12.029.011) მრავალფუნქციური შენობის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების შესახებ წარმოდგენილი საპროექტო დოკუმენტაცია.

წარმოდგენილი დოკუმენტების განხილვის შედეგად დადგინდა, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობების ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის N255 დადგენილების შესაბამისად, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები უნდა მოიცავდეს მიწის ნაკვეთის გეგმას, რომელზეც დატანილ უნდა იქნას:

1. ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები (დაცილება) საპროექტო შენობასა და მეზობლად მდებარე შენობა-ნაგებობებს შორის, ასევე მათი ცეცხლმედეგობის ხარისხი და ფუნქციური დანიშნულება.

2. საპროექტო შენობასთან სახანძრო ავტომობილების მისასვლელი გზები და მისი პარამეტრები.

3. საპროექტო შენობის გარე ხანძრის ჩაქრობისათვის აუცილებელი წყალგაყვანილობის ქსელი.

საქართველო, 0114, თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №83ა
ტელ: (+995 032) 2 41 44 79
ელ. ფოსტა: info@es.gov.ge

№83a, V. Gorgasali str. Tbilisi, 0114, Georgia
Tel: (+995 032 2 41 44 79
E-mail: info@es.gov.ge

მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების შესახებ შესაბამისი დასკვნის მომზადებისათვის აუცილებელია მშენებლობის სანებართვო პროცესის I სტადიის მოთხოვნებიდან გამომდინარე განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებების შეტანა სამშენებლო დოკუმენტაციაში და კორექტირებული პროექტი წარმოდგენილი იქნეს განსახილველად.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი / პრევენციისა და რეაგირების სამმართველო
სამმართველოს უფროსი
შენგელია დიმიტრი

